საახალწლო სიახლეები „ვასაძის პურისაგან“

ბოროდინული პური
ქალაქური პური
უსაფუარო პური

®

მზადდება ნატურალური და ნაციონალური პროდუქტებისაგან

ზურაბ მაჭარაშვილი და იური ლომაძე საქართველოს ჩემპიონებია!

ქ. ბათუმში გამართულ ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში საქართველოს თასის გათამაშებაში ოზურგეთის საჭიდაო სკოლას ორი ჩემპიონი ჰყავს.

55 კგ წონით კატეგორიაში **ზურაბ მაჭარაშვილმა** ფინალში გარდაბნელი აკაკი იორაშვილი დაამარცხა და საქართველოს ჩემპიონი გახდა.

72 კგ წონით კატეგორიაში კი **იური ლომაძემ** ფინალში ბათუმელი შმაგი ბოლქვაძე დაამარცხა და ოზურგეთს მეორე ოქროს მედალი მოუტანა.

ვულოცავთ ჩვენს მოჭიდავეებს ამ გამარჯვებას!

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 44 (10337) 16 დეკემბერი , 2019 წ. ფასი 60 თეთრი.

გურიის მხარესა და ჩეხეთის რესპუბლიკის რეგიონს შორის მემორანდუმი გაფორმდა

გურიის მხარის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციასა და ჩეხეთის რესპუბლიკის პარდუბიცეს რეგიონებს შორის ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.

ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, მხარის რწმუნებული, დელეგაციის წევრებთან ერთად, რეგიონის პროფესიულ სასწა-ვლებლებს, პარდუბიცეს საერთაშორისო აეროპორტს და საგზაო დეპარტამენტს სტუმრობდნენ, სადაც მომავალი თანამშრომლობის საკითხები განიხილეს.

გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, პროფესიული განათლების, სოფლის მეურნეობის, ტურიზმის, კულტურის და საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებას შეეწყობა ხელი. მომზადდა პირველი ერთობლივი პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს ოზურგეთის კოლეჯ “ჰორიზონტსა“ და ქალაქ ჟამ-ბერკის კოლეჯს შორის პარტნიორული თანამშრომლობის დაწყებას, რაც სტუდენტების და მასწავლებლების გა-ცვლითი პროგრამის განხორციელებას მოიცავს.

,,მნიშვნელოვანია, რომ პი-რველად ისტორიაში, გურიის რეგიონმა პარტნიორული ურთ-იერთობა დაიწყო ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს რეგიონთან. ურთიერთანამშრომლობის ფარგლებში უკვე გვაქვს პირველი შედეგები და პროფესიული განათლების განვითარების მიმართულებით ველ-ოდებით პროექტის დაფინანსებას, რომელიც წარდგენილია ჩეხეთის განვითარების სააგე-ნტოში. გარდა ამისა, აქტიურად ვმუშაობთ ჩვენს ჩეხ კოლეგებთან, რათა მეტი საინტერესო და რაც მთავარია, გურიის მოსახლეობისთვის ეკონომიკური ეფექტის მომტანი პროექტი განვახორციელოთ“, – განაცხადა მხარის რწმუნებულმა, **ზურაბ ნასარაიძ.**

ხორცის მორიგი სკანდალი ანუ რატომ არ დააკმაყოფილა სატენდერო კომისიამ სკოლამდელი დაწესებულებების თხოვნა

შპს „სოფოს“ მიერ წარმოადგენილი ფორმა 2-ები რამდენიმე ადამიანის თვალწინ „დაიკარგა“(?!).

8 დეკემბერს, დვაბზუს სასაკლაოზე სატელეფონო შეტყობინების საფუძველზე, სურსათის ეროვნული სააგენტოს ინსპექტორებმა ყოველგვარი საბუთისა და ეტიკეტირების გარეშე სარეალიზაციოდ გამზადების პროცესში ერთი ტონა ხორცი აღმოაჩინეს. შპს „სოფომ“ მართალია 5 საათის შემ-დეგ წარადგინა ფორმა 2-ები, მაგრამ იგი რამდენიმე ადამიანის თვალწინ „დაიკარგა“(?!). გამოიძახეს 112 და ხორცი დალუქეს. შპს „სოფო“ 1000 ლარით დააჯარიმეს და კვლავ ოპერირებას აგრძელებს.. მართალია ეს ხორცი არ შეჰქონდათ ოზურგეთის ბაღების გაერთიანებაში, მაგრამ აქაური ბაღების გაერთიანების მესვეურთა თქმით, ასეთი ფაქტები დამთრგუნველად მოქმედებს მათზე და ხელს უშლის სასწავლო-სააღმზრდელო -საგანმანათლებლო პროცესს. შპს „გურია 2016“-ის დამფუძნებლები კი ამბობენ, შპს „სოფოს“ და „მანუჩარის“ სკანდალები რეპუტაციას ულახავს დვაბზუს სასაკლაოს და ისინი მომავალი წლიდან მათთან ხელშე-კრულების გაგრძელებას არ გეგმავენ.

,,სოფოს“ ხორცის სკანდალი პირველად გამოცემა „ბათუმელების“ ჟურნალისტის ჯაბა ანანიძის სტატიის საშუალებით გახდა ცნობილი.

,,საიდან მარაგდება ხელვაჩაურის საბავშვო ბაღები ხორცით, ,გაურკვეველია. დღეს საბავშვო ბაღების გაერთიანების ეზოში მოტანილი ხორცი უკან დააბრუნეს, ვიზუალურადაც ეტყობოდა, რომ გაფუჭებული იყო,“ – ამბობს მერაბ ღოღობერიძე, არასამთავრობო ორგანიზაცია ,,კორუფციასთან ბრძოლის საინფორმაციო ცენტრის“ ხელმძღვანელი. მან საქონლის ხორცის წარმომავლობის რამდენიმე დოკუმენტი გვაჩვენა, რომელიც მას ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანებაში მიაწოდეს. დოკუმენტებით ჩანს, რომ ხორცი სასაკლაოდან იმ კომპანიას არ მოაქვს, რომელსაც ტენდერი აქვს მოგებული.

დოკუმენტების ნამდვილობა და ის, რომ ხორცი უკან დააბრუნეს, ,,ბათუმელებს“ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანებაში დაუდასტურეს...

ხელვაჩაურის საბავშვო ბაღებს საქონლის ხორცით შპს ,,სოფო“ ამარაგებს. ამ კომპანიამ ტენდერი მოიგო და მასთან კონტრაქტი 60 732 ლარზე 2018 წლის 29 აგვისტოს გაფორმდა...

,,ბათუმელები“ შპს ,,სოფოს“ დირექტორს – სოფო გორგაძეს

▶▶▶ გვ-3

საქართველო – ევროპის საბჭოს თავმჯდომარე ქვეყანა

საქართველო პირველად გახდა ევროპის საბჭოს თავმჯდომარე ქვეყანა, რომლის აღსანიშნავად, დღეს, ქალაქ ოზურგეთში თეატრალურ მოედანზე, „ქართული ოცნების“ ახალგაზრდული ფრთის ორგანიზებით ღონისძიება გაიმართა.

ღონისძიებას გურიის მხარისა და ადგილობრივი ხელისუფლების, „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ ოზურგეთის საოლქო ორგანიზაციის წარმომადგენლები და ახალგაზრდები დაესწრნენ.

–„ნამდვილად მისასალმებელია, რომ საქართველო ევროსაბჭოს თავმჯდომარე ქვეყანაა. ეს ექვსი თვე არის ჩვენთვის დიდი გამოწვევა. მნიშვნელოვანია ის, რომ პასუხისმგებლობა, რომელიც აიღო ჩვენმა ქვეყანამ იმ მოთხოვნების და სტანდარტების შესრულებული იქნება, რაც ევროკავშირს გააჩნია. ქართველები ვართ ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყანა და ჩვენი გზა არის ევროპისკენ“ – განაცხადა გურიის მხარის სახელმწიფო რწმუნებულმა, **ზურაბ ნასარაიამ.**

ღონისძიებაზე დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **დავით დარჩიამ** და ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენელმა **ნიკა ბახტაძემ.**

–„საქართველო ევროსაბჭოს თავმჯდომარე ქვეყანა გახდა და ამ მოვლენას დიდი სიამაყით შევუერთდით ოზურგეთიდან. ჩვენმა ქვეყანამ, ევროპულ სტანდარტებზე უკვე დიდი ხნის წინ გააკეთა არჩევანი და ერთგული რჩება ევროპული ღირებულებების, ფასეულობების. მომდევნო ექვსი თვის განმავლობაში, ევროსაბჭოში, საქართველო განსაზღვრავს პრიორიტეტულ თემებს, როგორიცაა მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადგილობრივი თვითთმმართველობის გაძლიერების კუთხით, გარემოს დაცვის საკითხები, დემოკრატიის გაძლიერება ახალგაზრდების ჩართულობით და სხვა. დარწმუნებულნი ვართ, რომ ამ მეტად საპასუხისმგებლო საქმიანობას ჩვენი ქვეყანა წარმატებით გაართმევს თავს. საქართველოს ევროპული მომავალი შეუქცევადია“ - აღნიშნა დავით დარჩიამ.

–„ჩვენთვის, ახალგაზრდებისთვის ეს მოვლენა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან მთავარი პრიორიტეტული თემებიდან, რასაც საქართველო ამ პერიოდში განსაზღვრავს, ფუნდამენტალურია განათლება და ახალგაზრდული ინიციატივები. ვულოცავ საქართველოს და ვულოცავ ჩვენს ახალგაზრდებს, ევროპა ეს არის გზა უკეთესი მომავლისკენ,“–თქვა მიმართვისას ნიკა ბახტაძემ.

ღონისძიების დასასრულს გაჟღერდა საქართველოს ჰიმნი, აღიმართა საქართველოს და ევროკავშირის დროშები.

სოფელ შრომაში 6032 გრძივი მეტრი საავტომობილო გზა კეთდება

დონაურის გავლით ნატანების ცენტრალურ გზამდე 6032 გრძივი მეტრი საავტომობილო გზის რეაბილიტაციის სამუშაოები მიმდინარეობს. სამუშაოები რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსებით ხორციელდება.

სარეაბილიტაციო პროცესს ოზურგეთის მერის მოადგილე ოსიკო თოთიბაძე და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი თემურ გიორგაძე ადგილზე გაეცნენ.

სილაურის ტერიტორიულ ერთეულში საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა

12 დეკემბერს, გარემონტებული საბავშვო ბაღი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერმა კონსტანტინე შარაშენიძემ დაათვალიერა

ინფრასტრუქტურული სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა.

მთისპირის ტერიტორიულ ერთეულში შიდა საუბნო გზებზე რკინა-ბეტონის გზის მოწყობა მიმდინარეობს

ინფრასტრუქტურული სამუშაოები სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ხორციელდება.

სარეაბილიტაციო პროცესს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი თემურ გიორგაძე მერის წარმომადგენელთან მაია ჩავლეშვილთან ერთად გაეცნო.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ოზურგეთში, კალანდაძეების უბანში 90 მ. სიგრძის რკინა - ბეტონის გზის მოწყობა დასრულდა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ოზურგეთში, კალანდაძეების უბანში 90 მ. სიგრძის რკინა - ბეტონის გზის მოწყობა დასრულდა.

პროექტი დაფინანსებულია ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

ფოტო მოგვაწოდა მერის წარმომადგენელმა სოფელ ოზურგეთში, ბადრი თავდუმაძემ.

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 60 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2,40 ლარი,
სამი თვით – 7,20 ლარი,
6 თვით –14,40 ლარი,
ერთი წლით – 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
ვიორვი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

ხორცის მორიგი სკანდალი ანუ რატომ არ დააკმაყოფილა სატენდერო კომისიამ სკოლამდელი დაწესებულებების თხოვნა

შპს „სოფოს“ მიერ წარმოადგენილი ფორმა 2-ები რამდენიმე ადამიანის თვალწინ „დაიკარგა“(?!).

ტელეფონით დაუკავშირდა. „ჩვენ ყველა დოკუმენტს წარმოგიდგენთ, მერაბ ღოღობერიძე რასაც იძახის, აბსურდია და ჩვენ ამას დავად-ასტურებთ. დღეს პოლიციაშიც დავვი-ბარეს, მაგრამ ვერ ვახერხებთ მისვლას,“ – გვიპასუხა ქალმა, რომლის თქმითაც ის სოფოს ახლობელია და თავად სოფო გორგაძე ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ გაგვესაუბრებოდა. (ამონარიდი სტატიიდან **„ბათუმელები“,** 24.09. 2019 წ.)

შპს „სოფოს“ გურიაშიც ჰქონდა რამდენიმე სკანდალი.

2019 წლის 28 მარტს დვაბზუს სასაკლაოზე ოზურგეთის სკოლამდელი აღზ-რდის ცენტრმა შპს „სოფოს“ ბაღებში შესატანად გამზადებული ხორცი დაუწუნა.

„ბაღების გაერთიანებამ ყოველგვარი პრევენციული ზომები გაატარა იმისთვის, რომ ბაღებში საეჭვო ხარისხის ხორცი არ შესულიყო.

აღვნიშნავთ, რომ ბაღებში საქონლის ხორცით მომარაგება ხდება კვირაში ერთხელ, საკლავი ყოველ სამშაბათს იკვლება დვაბზუს სასაკლაოზე,მეორე დღეს კი ხდება ხორცის დაფილვა (ამავე სასაკლაოზე), სადაც, დაფილვას ყოველ ოთხშაბათსა და ხუთშაბათს ესწრებიან სკოლამდელი აღზრდის ცენტრის მონიტორინგის თანამშრომლები.

28 მარტს, ხორცის მორიგი დაფილვის დროს, ცენტრის მონიტორინგის თანამშრომლებმა ვიზუალურად დაიწუნეს ხორცის ერთი ნაწილი, რომელიც იყო მუქი შეფერილობის და რეაგირებისთვის მაშინვე მივმართეთ სურსათის ეროვნულ სააგენტოს სიტუაციის შესწავლის მიზნით.

სურსათის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლები მაშინვე გამოცხადნენ აღნიშნულ ადგილზე(დვაბზუს სასაკლაოზე) სადაც დაფიქსირეს კრიტიკული შეუსაბამობები და საწარმოო პროცესი შეუჩერეს მიმწოდებელს - შპს „სოფოს”.

საწარმო პროცესის შეჩერების გამო სკოლამდელი აღზრდის ცენტრმა, ხელშეკრულება შეუჩერა მიმწოდებელ შპს „სოფოს” და გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, გააფორმა ერთ პირთან მოლაპარაკება, რათა არ შეფერხებულიყო საალმზრდელო პროცესი ბაღებში. “ – ასეთი კომენტარი გაკეთა მაშინ გაზეთ „ალიონთან“ ოზურგეთის სკოლამდელი აღზრდის ცენტრმა. (გაზეთი **„ალიონი“**, №15, 2019 წ.)

საკითხში სიცხადის შეტანის მიზნით გთავაზობთ სურსათის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ინფორმაციას:

„სურსათის ეროვნული სააგენტოს გურიის რეგიონულმა სამმართველომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრიდან, მიღებული შეტყობინების საფუძველზე, საბავშო ბაღების მომმარაგებელ კომპანიაში არაგეგმური ინსპექტირება განახორციელა.

შპს „სოფოს“ შემოწმებისას გამოვლინდა კრიტიკული შეუსაბამობები, კერძოდ, სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმებისა და ტემპერატურული რეჟიმის დარღვევა, კონდენსატის არსებობა მაცივარში და კოროზირებული მილი, ხორცის ორგანოლეპტიკური მახასიათებლების დარღვევა— შეცვლილი ფერი და კონსისტენცია, რის გამოც ბიზნეს-ოპერატორს საწარმოო პროცესი შეუჩერდა და დაჯარიმდა.

ბაღების მომმარაგებელ კომპანიაში დაილუქა 164 კგ-მდე საქონლის ხორცი და 207 კგ ქათმის ფილე, რომელიც საგენტოს ინსპექტორების ზედამხედველობით განადგურდება.

ბიზნესოპერატორს საწარმოო პროცესი კრიტიკული შეუსაბამობების აღმოფხვრის შემდეგ აღუდგება.“ **(nfa. gov.ge 10.04. 2019 წ.)**

გაზეთ „ალიონთან“ ასეთი კომენტარი გააკეთა შპს „სოფოს“ პასუხისმგებელმა პირმა ირმა ხაბაძემ. გთავაზობთ ამონარიდს მისი კომენტარიდან:

–„*არ გიჩნდებათ კითხვა, რატომაა მუდმივად ყურადღების ცენტრში მხოლოდ ოზურგეთის საბავშო ბაღები?* მაგალითად„ **რატომ არავინ არაფერს ამბობდა, ეგზისი წელი რომ „აჭისვინეს“ ლანჩხუთში ბავშვები.** *ზოგიერთები მხოლოდ ახლა დაინტერესდა ამ საკითხით. თქვენც ხომ ხედებით, რომ მიკერძოებაა. უნდა იმუშაოს მხოლოდ ინდეწარმე „მახოხიამ“, გიორგი კაკურიამ, რომელსაც ჩქარი ტაშით იწვევენ გამარტივებული წესით. მხოლოდ მან უნდა იმუშაოს. არ ხდება მისი არანაირი შემოწმება.*

სასაკლაოზე, როგოც ყოველთვის, ტარდება მონიტორინგი. დაკვლის დღეს ხორცს გაუკეთეს ანალიზი, ძალიან კარგიაო. დაფილვას ესწრებოდნენ შესაბამისი სამსახურის თანამშრომლები. ერთ-ერთს არ მოეწონა ხორცის ნაჭერის ფერი და ატყდა ერთი ამბავი. შექმნილა უმართავი სიტუაცია

სამუშაო პროცესი შეგვაჩერებინეს იმის გამო, რომ ლანჩხუთში არ შევსულიყავით და ოზურგეთში ზარალი გვენახა, რომელიც დაახლოებით 6 000 ლარის, პლუს 1000 ლარი სურსათის უვნებლობის ჯარიმა, რადგან ჩათვალეს, რომ ანტისანიტარია იყო. მაცივარი ღია რომ ჰქონდათ, ყინვამ დნობა დაიწყო, წვეთები დაინახეს და დარღვევაო, თქვეს.

სურსათის უვნებლობამ ხორცის ნიმუში გადაგზავნა სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროში, ეგონათ ცხენი ან ვირი იქნებოდა. მიიღეს პასუხი, რომ ხორცი ვარგისი იყო.

ოზურგეთში აღარ, მაგრამ მუშაობას გავაგრძელებთ ჩვეულებრივად. მოვლენ სურსათის უვნებლობის წარმომადგენლები, შემოწმდება საწარმო, რომლის გამოც დაგვაჯარიმეს. **ოზურგეთთან, მიმდინარე ტენდერის დასრულების შემდეგ, აღარ ვითანამშრომლებთ.** *უბრალოდ, დაგვაზარალეს მეტი არაფერი. ამ დროს რეკლამასაც გვიკეთებენ, რაც უფრო მეტს საუბრობენ ჩვენზე, თანამშრომლობის მეტი მსურველი გამოვიჩნდა.*

ჩვენ იმდღესვე მივმართეთ კრიმინალურ პოლიციას. გენ. პროკურატურისთვის გადასაცემად გამზადებული მაქვს ვიდეო ჩანაწერი. გამოიკვეთება - ვინ შექმნა არეულობა. ვაპირებ სასამართლოში დავას.“ (გაზეთი **„ალიონი“**,№15, 2019 წ.).

შპს „სოფომ“ სიტყვა შეასრულა და მალე „სავლე იქცა პავლედ.“ 2019 წლის 28 მარტს ახალი შპს „მანუჩარი“ დაფუძნდა, რომლის მეპატრონე წინა შპს „სოფოს“დამფუძნე-ბლები გახლდათ. **5 აპრილს მათ ტენდერიც მოიგეს (?!)**

ნინი შეწირული: სურსათის ეროვნული სააგენტოს გურიის სამმართვ-ელოს ყოფილი უფროსი:

„ბიზნესოპერატორები ერთნაირი კეთილსინდისიერებით არ გამოირჩეოდნენ. ზოგი ცდილობდა „იოლად“ ეშოვნა ფული, თუნდაც ეს ბავშვების ჯანმრთელობას ეხებოდეს. ეს ყოვლად შემაშფოთებელი იყო ჩემთვის, როგორც რიგითი მშობელისთვის, მოულებელი.

გასულ წლებში გვქონდა შემთხვევები და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ბავშვთა კვებაში ჩვენმა სამსახურმა აღმოაჩინა ცხენის ხორცის დნმ-ი. ხორცი მაშინვე ამოვიღეთ ბაღებიდან, მოხდა მისი განადგურება და შესაბამის ორგანოებს გადაეცა აღნიშნული ფაქტი.

აქ, კონკრეტულ შემთხვევაში ოზურგეთის სკოლამდელი აღზრდის ცენტრიდან შემოსული შეტყობინების საფუძველზე, მაშინვე გავედით ადგილზე – დვაბზუს ცხოველთა სასაკლაოს ტერიტორიაზე: იქ დავვხვდა არასასურველი სურათი,–„შავი“ ხორცი, ორგანოლეპტიკურად არაჯანსაღი, ცუდი სუნითა და შეფერილობით. რამდენიმე ათეული კილოგრამი ხორცი ჩვენი მისვლისას უკვე არეული იყო ერთმანეთში და ცალ-ცალკე იდენფიცირება ვერ ხერხდებოდა, ამიტომ დაიწერა შესაბამისი ოქმი და ხორცი დაექვემდებარა განადგურებას, ასევე საწარმოს შეუჩერდა პროცესი და დაჯარიმდა კრიტიკული შეუსაბამობისთვის.

ჩვენმა სამსახურმა **შპს „სოფოს“ დანაშაულებრივი ნიშნებიც აღმოუჩინა.** *იყო ფორმა 2–ში ხორცის წონების ხელით გადასწორებით შემეხვე-ვები, ორჯერ დაფიქსირდა, რომ* **სასაკლაოს ვიდეოთვალს აფარეს თეთრი ქაღალდი და სავარაუდოდ ამ დროს მოხდა ხორცის შეცვლა** *..იყო სხვა შეუსაბამობებიც, რაც ვაცნობეთ ჩვენს ზემდგომ ორგანოებს ზომების გატარებისათვის ...“ –გვითხრა ნინი შეწირულმა.*

ა (ა) იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის ოფიციალურ გვერდზე საინტერესო დოკუმენტებს გადავაწყდით, რომლითაც ირკვევა, რომ ოზურგეთის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის ხელმძღვანელი მაკა ჭყონია საქონლის დაკვლა-დამუშავებას გურიის ტერიტორიაზე არსებულ ცხოველთა სასაკლაოზე ითხოვდა, რაც შპს „სოფომ“ გაასაჩივრა.

„სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დავების განმხილველ საბჭოს

როგორც მოგეხსენებათ, შპს „სოფო“-მ ა(ა) იპ ოზურგეთის სკოლამდელი აღზრდის ცენტრს გაგვისაჩივრა 2019 წლის 3 მაისს გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის თ190008906 (რომლის განხილვაც დავების საბჭოში ჩანიშნულია 21/05/2019 წელი) სატენდერო დოკუმენტაციის 2.2.1. და 2.7.1. პუნქტი, სადაც მოთხოვნილია, რომ საქონლის დაკვლა და დამუშავება უნდა მოხდეს გურიის ტერიტორიაზე არსებულ ცხოველთა სასაკლაოზე ცენტრის მიერ გამოყოფილი თანამშრომლის თანდასწრებით, აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის მიერ „ცხოველური წარმოშობის პროდუქტები, ხორცი და ხორცის პროდუქტები“–ს ახალი საქონლის ხორცი) შესაძენად ყველა ელექტრონული ტენდერები გამოცხადებულია და შესაბამისად ჩატარებულია აღნიშნული მოთხოვნის გათვალისწინებით, გამომდინარე იქედან, რომ არ არსებობს ახალი, გაუყინავი საქონლის ხორცის შეფუთვის ქარხნული სტანდარტი, შესაბამისად შეუძლებელია სხვა რეგიონში დაკლული და დამუშავებული 43 საბავშო ბაღში მისაწოდებელი საქონლის ხორცის ვიზუალური შემოწმებითა და დათვალიერებით დადგინდეს რა ხორცია (საქონლის, ცხენის და ა.შ.) ან რა პირობებში მოხდა საქონლის ტრანსპორტირება, საეჭვო ხორცის არსებობის შემთხვევაში ხორცის სრულყოფილ ლაბორატორიულ შემოწმებას ესაჭიროება 7 დღე, შესაბამისად საბავშო ბაღები, (ბაღის აღსაზრდელები) დარჩებიან ხორცის გარეშე, გამომდინარე იქედან, რომ აღნიშნული რაოდენობის საქონლის ფილე, ხორცის (კვირის განმავლობაში სავარაუდო რაოდენობა – 400 კგ. ფილე ხორცი) შეძენა შეუძლებელია მოკლე დროში, სატენდერო დოკუმენტაციის აღნიშნული მოთხოვნის ჩანაწერი განპირობებულია იქედან, რომ ცენტრი დარწმუნებული უნდა იყოს საბავშო ბაღებში მისაწოდებელი საქონლის ვარგისიანობაში და მის ხარისხში.

როგორც მოგეხსენებათ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში დფიქსირდა ნაცვლად საქონლის ხორცისა, ცხენის ხორცის შეტანის ფაქტი, ჩვენი მოთხოვნის შემთხვევაში კი ტენდერში გამარჯვებული პრედენდენტი ვალდებულია საქონლის დაკვლა და დამუშავება განახორციელოს გურიის ტერიტორიაზე არსებულ ნებისმიერ ცხოველთა სასაკლაოზე, სადაც მოხდება საქონლის დაკვლა და დამუშავება ცენტრის მიერ გამოყოფილი თანამშრომლის თანდასწრებით, აქვე ხდება საქონლის დაკვლამდე ცხოველთა სასაკლაოზე ვეტექიმის მიერ მისი შემოწმება და შესაბამისად ვიზუალური კონტროლი და დისტრიბუცია საბავსვო ბაღებში. აქედან გამომდინარე ცენტრი დარწმუნებულია საქონლის ვარგისიანობასა და ხარისხზე.

ასევე გაცნობებთ, რომ დღემდე აღნიშნულ საკითხზე შენიშვნა ცენტრისთვის არც ერთ მომწოდებელს არ გამოუთქამს, ასევე გაცნობებთ, რომ შპს „სოფო“ – რომელმაც გაასაჩივრა აღნიშნული ჩანაწერი უკვე ორი წელია მონაწილეობს ჩვენ მიერ გამოცხადებულ ტენდერებში, მასთან გასულ და მიმდინარე წელს ელექტრონული ტენდერების საშუალებით გაფორმებულია სამი ხელშეკრულება, რომელიც შესრუ-ლებულია. შპს „სოფოს“ მინდობილი პირი ირმა ხაბაძე კი აღნიშნული სახით საქონლის მიწოდებაზე ყოველთვის კმაყოფილებას გამოხატავდა“ ...(ამონარიდი წერილიდან; მას ხელს აწერს ცენტრის დირექტორის მოადგილე **მალხაზ კვაჭანტირაძე** *და ცენტრის შესყიდვების სამსახურის უფროსი* **კაკო ზაქარიაძე.)**

დავების განხილვის საბჭომ შპს „სოფოს“ მიერ წარდგენილ საჩივართან დაკავშირებით (კახი დემეტრაძე, საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი) შპს „სოფოს“ საჩივარი სრულად დააკმაყოფილა.(?!)

გაზეთ „ალიონთან“ 8 დეკემბერს მომხდარ ფაქტზე კომენტარი სურსათის ეროვნული სააგენტოს გურიის სამმართველოს უფროსმა **მანანა ერქომაიშვილმა** *გააკეთა:*

–8 დეკემბერს, სატელეფონო შეტყობინების საფუძველზე სურსათის ეროვნული სააგენტოს ინსპექტორებთან ერთად გავედით დვაბზუს სასაკლაოზე სადაც ფართი აქვს ნაქირავები შპს „სოფოს“ და აწარმოებს ხორცის დარბილებას და შემდეგ შეაქვს სბავშო ბაღებში.. დავვხვდა ასეთი სურათი: იყო 9 ტანხორცი და ერთი ნახევარი. არანაირი სბუთი არ ჰქონდათ . არც ფორმა 2, არც ეტიკეტი. დიდი ძალისხმევის შემდეგ დავუკავშირდით, როგორც ჩანს იმას, ვინც ამარაგებს ხორცით შპს „სოფოს. “ის პირი მოვიდა დაახლოებით 5 საათის შემდეგ და მოიტანა ფორმა 2-ები, თავისი ეტიკეტებით. როცა უკვე შევეცადეთ, მოგვეხდინა იდენტიფიცირება საქონლის ხორცსა და ფორმა ორებს შორის ეს **ფორმები დაგვეკარგა. ბოლოს პოლიციელს ეჭირა ხელში, თუმცა აქეთ წამოგვიყენა ბრალდება, რომ ჩვენ მოვპარეთ ისინი.** *ხელთ შეგვრჩა მხოლოდ ერთი ფორმა 2 და ეტიკეტები, რომლებიც მიკრული არ იყო ფორმა ორებზე. შევეცადე ამ ერთადერთი ფორმა ორის იდენტიფიცირება მომეხდინა ერთ ერთი საქონლის ტანხორცი, რომელზაც საერთოდ არ იყო ჯანმრთელობის ნიშანდება, მაჩვენეს ამისიაო.. მისი წონა არ შეესაბამებოდა ფორმა ორზე აღნიშნულს. ასევე გაჩნდა იმის საშიშროება, რომ ხორცს გაიტანდნენ და გადამალავდნენ, ამიტომ, იძულებული გავხდი გამომძახა 112. ხორცის გატანა ვერ მოახერხეს. ადრე მოვიდა პოლიცია.*

შესაძლებელია იქ ერთი ტანხორცი ყოფილიყო ვადიანი, მაგრამ იმდენად არეული იყო ყველა ერთმანეთში, უკვე დარბილებული ქჩონდათ, იდენტიფიცირება შეუძლებელი იყო. (ერთ-ერთზე 4 დეკემბერი იყო აღნიშნული) ამიტომ მივიღეთ გადაწყვეტილება, ერთიანად დაგველუქა თუმცა თვითონ ირწმუნებოდა, არც აჭარის სბავშო ბაღებში ვაპირებდით ამ ხორცის გატანასო. თვითონ ასე გვითხრა, მაგრამ მანამდე დამფილავმა გვითხრა – **„თქვენ რა განერვიულებთ ეს ხორცი აჭარის ბაღებში მიდისო.“**

ჯარიმას რაც შეეხება: იყო ეტიკეტირების წესის დარღვევა, მიკვლევადობის მოთხოვნების დარღვევა ვადაგასული ხორცი და რამდენიმე ტანხორცი იყო ვეტერინარული ზედამხედველობის გარეშე რის გამოც დაჯარიმდა 1000 ლარით. თუმცა ამ შემთხვევაში კრიტიკული შეუსაბამობა არ არის და არ შეჩერებიათ საწარმოო პროცესი.

რადგან პრობლემები ჰქონდა, შპს „სოფომ“ თვითონ ვერ მიიღო ტენდერში მონაწილეობა ამიტომ მონაწილეობა მიიღო შპს „მანუჩარმა“. ის აწარმოებს ხორცის დისტრუბუციას და შპს „სოფო“ არის მისი ქვეკონტრაქტორი, რომელსაც აღიარება აქვს და უფილავს ხორცს. შემდეგ კი შპს „მანუჩარს“ მიაქვს სბავშო ბაღებში. „მანუჩარს“ არ აქვს აღიარება, რომ ხორცი დაფილოს

შარშან მაკა ჭყონიას ჰქონდა სატენდერო პირობებში ჩადებული, მოგვიანებით რატომღაც ამოაღებინეს, რომ ხორცი უნდა დაკლულიყო ოზურგეთში. მე ეს პოზიცია მიმაჩნია სწორად წარმოდგინეთ საქონელი არის დაკლული სამეგრელოში, რომელიც ნაყიდია ბათუმის ბაზარში შემდეგ წამოიღო ოზურგეთში, დაფილა და ისევ მიაქვს ბათუმში. ამ ყველაფრის გათვალისწინებით მაღალია დაბინძურების რისკი.“–გვითხრა ერქომაიშვილმა.

გაზეთი „ალიონის“ მცდელობას დაკავშირებოდა ირმა ხაბაძეს უშედეგო აღმოჩნდა. მან ჩვენს სატელეფონო ზარებს არ უპასუხა.

ნუგზარ ასათიანი

ლიდერთა სკოლა ყველგან ლიდერია!

ალიონი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ „ოზურგეთის ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ ლიდერთა სკოლა ყველგან ლიდერია და ამის თქმის საბაბს გვაძლევს ამ სკოლის მიერ ანასაულის ხანდაზმულთა სახლში 13 დეკემბერს გამართული ღონისძიებაც, რომლის ლაიტმოტივი ტოლერანტობა გახლდათ.

ბენეფიციარებსა და დამსწრე საზოგადოებას შეხვედრის ორგანიზატორებმა უჩვენეს თავიანთი ძალებით მომზადებული დოკუმენტური ფილმი, რომელიც მოგვი-თხრობს ხაბდაზმულთა სახლის მობინადრეთა ისტორიებს.

ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდა და ხანდაზმულთა სახლის ბენეფიციარებს მოეფერა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ზაურ გაბრიჩიძე:

„ ურთიერთსიყვარული, დაფასება და იმედი ადამიანებს ყველაზე მეტად გვჭირდება, განსაკუთრებით მუხუცებულობის ჟამს. მე ხშირი სტუმარი ვარ ამ სახლისა და ამ სახლში მცხოვრები ადამიანებისა და კარგად ვხედავ, რა კარგ პირობებში არიან აქ ბენეფიციარები, როგორ ზრუნავენ მათზე „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ ხელმძღვანელობა და თანამშრომლები. ეს არის ტოლერანტობის ნათელი გამოვლინება, რაც გადამდები უნდა იყოს საზოგადოებისათვის“.

მსგავსი ღონისძიებების ჩატარების აუცილებლობაზე, ლიდერთა სკოლის მიერ მომზადებული დოკუმენტური ფილმის მნიშვნელობაზე ისაუბრა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახურის ხელმძღვანელმა მარინა ჯაფარიძემ.

ღონისძიების მეორე ნაწილში ლიდერთა სკოლის მოსწავლეებმა სტუმრებს თავიანთ კულინარიული ხელოვნებაც გააცნეს და კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ ამ საქმეშიც ნაკლებად ჰყავთ ბადალი.

ანასეულის ხანდაზმულთა სახლი განკუთვნილია საპენსიო ასაკს მიღწეული ადამიანებისთის მშვიდი და სასიამოვნო სიბერის უზრუნველსაყოფად. სახლის მიზანია ბინადართა საცხოვრებელი გარემოსა და და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება, ასევე მათი ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია.

სახლი 2011 წელს, არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ ინიციატივით შეიქმნა. სარემონტო სამუშაოები და ინვენტარით აღჭურვა იაპონიის საელჩოს დაფინანსებით განხორციელდა, ხოლო პროგრამულ დაფინანსებას, სათემო პროგრამის ფარგლებში უზურნველყოფს საქართველოს ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო..

ანასეულის ხანდაზმულთა სახლს ამჟამად 18 ბენეფიციარი ჰყავს.

ბებიაჩემისთვის რომ დამეჯერებია

როგორ მეხვეწებოდა ცხონებული ბებიაჩემი, რა გეჟურნალისტიკება, დუმბაძე მაინც არ წაგიკითხავს? წაი ნენა, იურიდიულზე ჩააბარე, ყველა დროში გამოგადგებაო. არ დავუჯერე და ვარ საკადრისაც, უფულო, ცალ-ცალი კალოშით და მიღებიდან დღემდე გაურემონტებელი, მეხუთე სართულზე გამოკიდული ოთხოთახიანი ბინით. რომ დამეჯერებია, თუ მთლად წყალწყალა იურისტი არ დავრჩებოდი, ვინ იცის, იქნებ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობისთვისაც გამომეკრა ხელი, თანაც მუდმივად და ამ ტილიანი ნიუსებისთვის არ მერბინა აღმა-დაღმა.

ახლაც ვწერ აგერ რაღაცას, თუ შიგ რაიმე სკანდალური არ ჩავდე, არ გავბერგამოვბერე, არ ავაგორ-ჩავაგორე, ვინაა წამკითხავი?!

ორშაბათობით გაზეთი მიმქონდა სახლში, ახლა იგიც შეგწყვიტე. გადამერია ცოლი, ბაღნებს ქაღალდს ხომ არ ვაჭმევ, ლობიო მაინც მოიტანე ხანდახანო. ლობიოს როგორ არ მივუტან, ბოლოს და ბოლოს ნისიად ავიღებ, მაგრამ პრეზიდენტში რომ შეეშალოთ და არ დაეცალონ ჭამა, მერე რა წყალში ჩავვარდე? „სამარცხვინოს“, „უპასუხისმგებლოსა“ და „მავნებლის“ ყიჟინით, შეიძლება დაბულინგონ კიდეც, ბულინგის მსხვერპლი ქალი კი ნამდვილად არ გამომადგება სახლში.

ბოქლომების ბიზნესი მეჩვენა სარფიანი, მაგრად მიდის საქართველოში, ოფისებსა და რეზიდენციებს კი არა, პალმებსაც აბოქლომებენ, მაგრამ გაძვირდა ამ ბოლოს. ჩვენს ე. წ. ქვეყანაში, სადაც ახლა ყველაზე დიდი მოთხოვნაა, ბოქლომებს საერთოდ არ ამზადებენ თურმე, მე კი ახლა ისეთ ასაკში ვარ, საზღვარგარეთ წანწალს ვერ დავიწყებ მგისთვის, თანაც ვშიშობ, პოლიტიკურში არ ჩამითვალონ და, რაიმე რომ შეიცვალოს, ციხის კედლები არ მახეხიონ.

ამ ქვეყანაში ყველაფერი მართლა დასწრებაზეა, თორემ ჩვენ რომ ვიცით, იმ ქალბატონებს ჩვენზე ადრე როგორ უნდა ეშოვათ და შეეტანათ მოწამვლელი ხსნარი პარლამენტის სხდომათა დარბაზში. რომც დაუმტკიცონ, მათი შეტანილია, ყურებზე ხახვი არ დაჭრან ახალარჩეულმა უზენაესი სასამართლოების მოსამართლეებმაც კი, რომელთა შორის მოხვედრაზე წავიოცნებე წერილის ექსპოზიციაში. ეგრევე თავს იმართლებენ, სამკურნალოდ შემოვიტანეთო. საამისო პირველი არგუმენტიც ხომ გამოჩნდა უკვე, ვიღაც ვეტერინარი აცხადებს, რომ ამ ხსნარს ადამიანების კიბოს სამკურნალოდ იყენებენო. მე მგონი, ეს ის პრეპარატია „უძინართა მზის“ მთავარმა პერსონაჟმა „პელეზე“ რომ გამოსცადა. თუ ასეა, მაშინ რას ვერჩით შემომტანს, გინდ „ნაციონალი“ იყოს და გინდ „ქოციონალი“, რაც ჰიპოკრატეს ფიცდადებულმა ექიმებმა ვერ შეძლეს, ამათ გაახერხეს და საჯაროდ მადლობა უნდა გამოვუცხადოთ, მეტიც, ფინანსურადაც უნდა წავახალისოთ, რამეთუ კიბო, რომლის პროცენტული მაჩვენებელი საქართველოში სამწუხაროდ დღითიდღე იზრდება, დღემდე განუკურნებელ სენად მიიჩნევა. რამდენადაც ვიცი, ქალბატონებს ენძელა მაჭავარიანს, სვეტლანა კუდბასა და კიდევ პარლამენტის რამდენიმე თანამშრომელს, ამ პრეპარატის „უნებლიეთ მიღების“ შედეგად, გვერდითი ეფექტი აღენიშნათ. ჭარბმა დოზამ იცის. არაუშავს, ხდება ასე, მეტადრე საქართველოში. სხვებისგან განსხვავებით, ქალბატონ ენძელას არ უნდა დასჭირდეს ექიმებისთვის მიმართვა, ბოლოს და ბოლოს, ენძელაა და ისე როგორ წახდება, ზამთრისა და გაზაფხულის გზასაყარზე, თავი არ ამოყოს თოვლიდან.

კინკი გურულად ძველმანს ნიშნავს, ჰოდა, სკანდალი თუ ვერ ავაგორე, ორი-სამი ძველმანი ხომ ავკინკე ამ წერილში. ასეა, როცა აუტკივარ თავს აიტკივებ, ბებიაჩემისთვის რომ დამეჯერებია, არც ერთი დამჭირდებოდა და არც მეორე.

კოკა თელია

კომპანია „New Road“ წარმატებულ კომპანიათა სამეულშია



10 დეკემბერს, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, საავტომობილო გზების დეპარტამენტის ორგანიზებით, „მეგზევის დღისადმი“ მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა. წელს, მეგზევის დღის აღნიშვნის ტრადიციას 52 წელი შეუსრულდა.

ღონისძიების ფარგლებში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა ის მეგზევეები დააჯილდოვა, რომლებმაც საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს. ასევე დაჯილდოვდა რამდენიმე კომპანია, 2019 წელს განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების წარმატებით შესრულებისთვის.

წარმატებულ კომპანიებს შორისაა, კომპანია „New Road“ რომელსაც ცნობილი მეგზევის დავით ჟღენტის ვაჟი, დავით (უმცროსი) ჟღენტი ხელმძღვანელობს. აღნიშნული კომპანია ოზურგეთშიც ოპერირებს.

ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდა ვიცე-პრემიერი კახა კალაძე, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი მაია ცქიტიშვილი, მინისტრმა მეგზევეებს პროფესიული დღე მიულოცა და სამომავლო გამოწვევებზე ისაუბრა. მინისტრის პირველმა მოადგილემ, საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარემ ირაკლი ქარსელაძემ, საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2019 წლის შედეგებისა და მომავალი წლის გეგმების შესახებ პრეზენტაცია წარადგინა.

2019 წელს, დაიწყო ჩქაროსნული ავტომაგისტრალის რიკოთის საუღელტეხილო გზის სამი მონაკვეთის მშენებლობა, ხელშეკრულება გაფორმდა ქვეშეთი კობის გზისა და 9 კმ-იანი გვირაბის მშენებლობაზე. ჩქაროსნულ ავტომაგისტრალზე აშნებულია 208 კმ. გზა, სამშენებლო სამუშაოები 142 კმ-გზაზე პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობს, 2019 წელს 800 კმ გზის რეაბილიტაცია განხორციელდა რაც წინა წლების მაჩვენებლებს 4-ჯერ აღემატება. აღსანიშნავია, რომ ამ დროისთვის, ჩატარებულ სამუშაოებზე ანაზღაურებულია 1 მილიარდ 217 მილიონი ლარი.

ღონიძიებას, საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია, თბილისი მერი კახა კალაძე, მთავრობისა და საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები, ქართული საგზაო სექტორის წარმომადგენლები და სხვა მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

„მე არ ვცნობ შეზღუდვებს..“

„მე არ ვცნობ შეზღუდვებს, ვირჩევ თანაბარ შესაძლებლობებს“! - ამ ლოზუნგით, ოზურგეთში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი გრანდიოზული საბავშვო ღონისძიება გაიმართა.

საქველმოქმედო ასოციაცია „გურიას“ ეზოში, პატარებს მრავალფეროვანი გასართობი პროგრამა დახვდათ. მათ განწყობაზე, ყველასათვის ცნობილმა და საყვარელმა „ბაბილინამ“ იზრუნა. ღონისძიებას სხვადასხვა ზღაპრის გმირები აფორმებდნენ. ანსამბლების „რეხეული, „ზენაარი", „მანანური,“ და სტუდია „ჯუნიორის“ მონაწილეობით კონცერტი ჩატარდა.

ღონისძიებას გურიის მხარის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე ქეთევან მოისწრაფეშვილი, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად დაესწრო.

ბავშვებისთვის გამართული ზეიმი ფოიერვერკით დასრულდა. ღონისძიება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის - განათლებისა და გენდერულ საკითხთა განყოფილების ორგანიზებით ჩატარდა.

ჩემი სიყრმის მეგობარი ბატონი გივი ხომერიკი იუბილარია

სიყრმის მეგობარზე წერა ადვილიც არის და, მეორე მხრივ, ძნელიც, ადვილია იმიტომ, რომ თუ შენი მეგობარია, კარგად იცნობ მის სულიერ სამყაროს, იცნობ მის ოჯახს, ახლობლებს, იმ გარემოს, სადაც ტრიალებს, ხოლო ძნელია იმიტომ, რომ შეიძლება კალამი გაგექცეს, სათქმელი ვერ მოზომო და ისეთი ხოტბა-დიდება შეასხა, იმდენი რამ მიაწერო, რომ თავად ადრესატი უხერხულ სიტუაციაში ჩააყენო.

ერთი სიტყვით, რთული მისია ვიკისრე და შევეცდები, არც მეგობარი გავაწბილო და არც ყველაზე დიდი მსაჯული – მკითხველი.

ბატონი გივი ხომერიკი 1934 წლის 21 დეკემბერს დაიბადა სოფელ შრომაში ალექსანდრე (ალიოშა) ხომერიკის ოჯახში, დედა კატუშა ბოლქვაძე წარმოშობით თხინვალიდან იყო, შრომისმოყვარე, პატიოსანი და გულკეთილი ქალბატონი.

გივი გაიზარდა ოჯახში, სადაც ერთსულოვნება, ურთიერთპატივისცემა და ერთმანეთის მიმართ დიდი სიყვარული სუფევდა. მათ ოჯახში სამი შვილი: ფაცია, გივი და სოსო გაიზარდა. სამწუხაროდ, ფაცია და სოსო ნაადრევად წავიდნენ სამუდამო ზეციურ სასუფეველში, მაგრამ ისეთი შვილები და შვილიშვილები დატოვეს, რომ გივის მუდამ ეამაყებოდა მათი არსებობა, მათი კაიქართველობა.

გივიმ 1958 წელს დაამთავრა თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგრონომია-ნიადაგმცოდნეობის ფაკულტეტი. მისი სულიერი სამყაროს ფორმირებისა და ადამიანური თვისებების ჩამოყალიბებაში ლომის წვლილი გაიღეს პროფესორ მასწავლებლებმა: ივანე სარიშვილმა, დიმიტრი გედევანიშვილმა, მელენტი გადახბაძემ, პავლე ბარამიამ, მარიამ ზაზუნიამ, ილია ნაკაიძემ...

სტუდენტობის პერიოდიდან განსაკუთრებით ძმური სიყვარული აკავშირებდა ამჟამად სსმ აკადემიკოს ვოვა ცანავასთან და მას დღემდე ღირსეულად აგრძელებს.

სასოფლო - სამეურნეო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ 1958 წელს დაუბრუნდა მშობლიურ სოფელს და სხვადასხვა წლებში მუშაობდა ბრიგადირად, პარტიული ორგანიზაციის მდივნად, კოლმეურნეობის მთავარ აგრონომად.

ასეა, უფლის განაჩენს ვერსად გაექცევი, ,,სადაც არის ბედი შენი, იქ მიგიყვანს ბედი შენიო", სწორედ გივიზე არის ნათქ-ვამი. ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჩოჩხათში შეხვდა და გაიცნო მომავალი მეუღლე, უმშვენიერესი პიროვნება, პედაგოგი ნორა ტიკარაძე, ვისთან ერთად შექმნა სასიქადული ოჯახი. მათ ორი ღირსეული ვაჟკაცი ალექსანდრე (ალეკო) და ირაკლი აღუზარდეს სამშობლოს. ალეკომ დაამთავრა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი და მუშაობს სპეციალობის მიხედვით ქალაქ თბილისში. ჰყავს მეუღლე ექიმი ლია გოგატაძე და ორი შვილი - გივი და ნონა. უმცროსმა შვილმა ირაკლიმ დაამთავრა თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი,. შრომითი საქმიანობა დაიწყო თბილისში, მაგრამ ოჯახის უსაზღვრო სიყვარულმა თავისი გაიტანა და ამჟამად ცხოვრობს სოფელში. მნახველის თვალს მოხიბლავს მის მიერ მოვლილი ცოლიკაურის ვენახი და ეზოკარმიდამო. მეუღლე ირმა რობაქიძე შრომის საექიმო ამბულატორიის ოჯახის ექიმია. შვილი ლევან ხომერიკი ცხოვრობს ქ. თბილისში და ერთ-ერთი ფირმის მენეჯერია.

1986 წელს გივი ხომერიკი აირჩიეს შრომის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ და მან ახალგაზრდული შემართებით გააგრძელა ლეგენდარული მიხაკო ორაგველიძის, როგორც ,,მემკვიდრემ", კარგი, სოფლისთვის სასიკეთო საქმეები, მაგრამ, სამწუხაროდ , საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე კოლმეურნეობამაც შეწყვიტა არსებობა.

გივის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ არჩევის დღიდან გვერდში ედგნენ კოლმეურნეობის მთავარი აგრონომი მიხეილ მჟავანაძე, ბრიგადირები ვახტანგ ხომერიკი, იური იობიშვილი, ვახტანგ ტულუში, ბადრი ხომერიკი, ვასო ჭაკნელიძე და სხვები.

ოთხათეულ წელზე მეტი ორივე ვმუშაობდით სოფელში პარტიულ-სამეურნეო ხელმძღვანელ თანამდებობებზე. დღესაც სასიამოვნოდ ვიხსენებთ წლებს: როცა სიცოცხლე ჩქეფდა სოფელში, გვეამაყება, რომ ჩვენი ერთად მუშაობის დროს ცხრაჯერ დავიმსახურეთ შრომელი კოლმეურნეების დაუღალავი შრომის შედეგად საკავშირო და რესპუბლიკური გარდამავალი დროშები. რაიონში სტუმრებს, პირველ რიგში, შრომაში ჩამოიყვანდნენ. აცნობდნენ სოფლის ღირსშესანიშნაობებს, მეგობრობისა და შრომის გმირთა მუზეუმს, გიორგი ლეონიძის სახელობის ბიბლიოთეკის მდიდარ წიგნად ფონდს, მეგობრობის ბაღს, გულმოდგინედ მოვლილ ჩაის პლანტაციებს. სოფელში ვიწვევდით და დასამახსოვრებელ შეხვედრებს ვუწყობდით მწერლებსა და პოეტებს, მსახიობებს და სხვა გამოჩენილ ადამიანებს, ჩამოდიოდნენ თეატრები.

იმედის მომცემია, რომ სოფელს უკვე მეორე წელია სათავეში უდგას სრულიად ახალგაზრდა, პერსპექტიული რწმუნებული კოტე ხომერიკი, რომელმაც ამ მოკლე პერიოდში შეძლო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის- კოტე შარაშენიძის თანადგომითა და დახმარებით, ყოფილი კოლმეურნეობის ადმინისტრაციული უნიკალური შენობის სახურავის შეცვლა, ასევე წესრიგში მოიყვანა წლების მანძილზე უყურადღებოდ მიტოვებული მეგობრობისა და სოციალისტური შრომის გმირთა მუზეუმი. სოფლის უბნებში საგზაო ინფრასტრუქტურის კუთხით ბევრი რამ გაკეთდა. ასე რომ, ეს ახალგაზრდა პიროვნება ღირსეულად აგრძელებს ბატონ გივი ხომერიკის მიერ გაკვალულ გზას.

წლების მანძილზე კეთილსინდისიერი, ნაყოფიერი შრომისთვის გივი ხომერიკი შრომის წითელი დროშის ,,საპატიო ნიშნის" ორდენებითაა და სრულიად საკავშირო გამოფენის ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებითაა დაჯილდოვებული.

ჩემს სიყრმის მეგობარს ბატონ გივი ხომერიკს 21 დეკემბერს უსრულდება 85 წელი. ვულოცავ ხომერიკების ბერმუხას იუბილეს, ვუსურვებ დიდხანს სიცოცხლეს და ულევ სიხარულს თავის ოჯახთან ერთად.

საუკეთესო სურვილებით
მისი სიყრმის მეგობარი
რომან ცეცხლაძე
ჟურნალისტი, სოფ.შრომა

ახალი დეტალები გურულ მოჯირითეთა ისტორიიდან

როგორ გავიცანი რიჩარდ ჯორჯიანი



რა დამავიწყებს 2000 წლის აგვისტოს, შვებულებაში მყოფმა მუ-ზეუმში შევიარე. ვხედავ თანამშრომლები, მუზეუმის მაშინდელი დირექტორის ენვერ გოგუაძის ირგვლივ შეკრებილან და გაფაციცებით რაღაცას კითხულობენ. ენვერმა მითხრა - მოდი, მანანა ჩიკაგოდან სტუმრები ჩამოდიან, საქმეში ჩაერთე. მალე ყველაფერი გაირკვა, ამერიკიდან ისეთი სტუმარი ჩა-მოდიოდა, რომელიც გურულ მოჯირითეთა ისტორიებს იკვლევდა. მასპინძელი მუზეუმი უნდა ყოფილიყო. ეძებდნენ ბინას, რომელშიც მოწესრიგებული აბანო იქნებოდა. ასეთი იყო ჩემს სახლში. ისე და-ვთანხმდი, რომ ოჯახიდან ნებართვა არ ამიღია.

საღამოს სახლში მივედი და ყველაფერი ვთქვი, ჩემმა უფროსმა დამ, ეთერმა უარი მითხრა - რა ვიცი, უცხოელს, როგორ უმასპინძლოო. უმთავრესი სიტყვა ჩემმა თბილისელმა დიშვილმა ვალერი ახალკაცმა თქვა. იგი ჩვენთან სტუმრად იყო, ამერიკიდან ახალდაბრუნებული, კარგი შთაბეჭდილებებით.

ყველაფერი გადაწყდა. ცოტა ხანში თბილისიდან ფირმის წარმომადგენლები ჩამოვიდნენ, ნახეს ჩვენი სახლი და წავიდნენ.

10 სექტემბერს ამერიკელი ბატონი ჯორჯიანი ჩემს სახლში იყო. ახლობლები, მეგობრები ჩემთან იკრიბებოდნენ.

ჩვენი სტუმარი საღამოს ,,პარმაღში" დაჯდებოდა და შინ დამზადებულ სხვადასხვა ლიქიორს სიამოვნებით წრუპავდა. (ეს ისე მოსწონდა, რომ 16 წლის შემდეგ, 2016 წლის მაისში ჩემთან ისევ სტუმრად მყოფმა, ზუსტად ის ადგილი მაჩვენა და შემახსენა ლი-ქიორის ამბავი).

სულ ოთხი დღე დაჰყო ბატონმა რიჩარდმა ოზუგეთში. იყო ლანჩხუთში, ბახმაროში, ნახა ბაისურას წყალი, სადაც ცნობილ მოჯირითეს - ივანე მახარაძეს ბავშვობისას ცხენი მოუკვდა. სოფელ ბახვში მოინახულაივანე მახარაძის საფლავი. შეხვდა ლანჩხუთის, ოზურგეთის, ბახვის საზოგადოებას, მოჯირითეების ნათესავებს და წავიდა მის მშობლიურ სოფელ ფახლუანში, საიდანაც წარმოშობით იყო თავისი ბაბუა ალექსი ჯორჯიანი - ალექსი გოგოხია.

პირველი ინფორმაცია, რომელიც მე მას გავუგზავნე ,იყო მოჯირითე ჯიმშეთ ლომაძის შესახებ (მისმა რძალმა, ქალბატონმა მაგნოლიამ გვიან გაიგო ბატონი რიჩარდის სტუმრობის შესახებ).

2001 წლია, 1 იანვარს მივიღე მისგან გულთბილი მისალოცი ბარათი.

ცოტა ხანში მთხოვს თანამშრომლობას გურულ მოჯირითეებზე მასალების მოკვლევის შესახებ, რისთვისაც მან ნებართვა აიღო გურიის გურიის მაშინდელი გუბერნატორისგან, ბატონ კარლო გუჯაბიძისაგან.

მე კვლევაზე დავთანხმდი, რადგან აღფრთოვანებული ვიყავი ადამიანისაგან ,რომელმაც ხელი მოჰკიდა საქმეს, რომელიც მოითხოვდა დიდ გარჯას, გამაკვირვა მისმა შრომისმოყვარეობამ, მისი ბაბუის ალექსი გოგოხიასადმი პატივისცემამ, არ დაეზოგა ძალა, ენერგია და სახსრები, რათა მსოფლიოსათვის ეჩვენებინა, რომ ეს ქართველები-გურული მოჯირითეები არიან და არა რუსი კაზაკები, როგორც მათ ამერიკასა და ევროპაში ეძახდნენ.

შემდეგში ჩემი კვლევა გურიაში და ინფორმაციების მიწოდება ბატონი რიჩარდისათვის დაახლოებით 15 წელი გრძელდებოდა, რაშიც უანგაროდ მეხმარებოდა ინგლისურისა და კომპიუტერული პროგრამების უბადლო მცოდნე, ქალბატონი თამარ (თამუნა) ღლონტი.

რიჩარდ ჯორჯიანი, როგორც კერძო პირი, გურულ მოჯი-რითეთა ისტორიებს იკვლევდა1994 წლიდან.

მანანა ლომაძე,
ოზურგეთის სამუზეუმო
გაერთიანების ფონდების
მთავარი მცველი.

შეგახსენებთ გაზეთი
„ალიონის"
საცალო ფასია 60 თეთრი
ხელმოწერა:
6 თვით – 15 ლარი
ერთი წლით – 30 ლარი

ხსოვნა

მანუჩარ მამეიშვილი – 90

90 შესრულდა სახელოვანი ქართველის, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, ცნობილი ბიზნესმენის მანუჩარ მამეიშვილის დაბადებიდან.

იგი 1929 წლის 16 ოქტომბერს დაიბადა სოფ. ბახვში, მოსამსახურის ოჯახში. მისი ცხოვრება ერთი ფართო პოემაა, რომელსაც შეიძლება ნაწერთა ტომები მიეძღვნას, რადგან იგი იყო სახალხო ადამიანი, საუკუნისა და მისი დროის ქველმოქმედი ადამიანი, რომელიც იმაზე მეტს აკეთებდა, რის საშუალებასაც ბიუროკრატიული პარტიული აპარატი აძლევდა.

ბატონი მანუჩარის სახელს მრავალი კეთილი საქმიანობა უკავშირდება. იგი ფასდაუდებელ შრომასა და მოღვაწეობას ეწეოდა. მისი ხელმძღვანელობით ოზურგეთში არაერთი სასიკეთო საქმე გაკეთდა. სოფ. დვაბზუში აშენდა ახალი აღჭურვილობით საკონსერვო ქარხანა და ჩაის კონცენტრატების კომბინატი, რომელსაც შემდგომ ეწოდა საწარმოო-სამეცნიერო ფირმა „ბახმარო.“ ეს კომბინატი ბატონი მანუჩარის გამოგონილ ჩაის ნატურალურ კონცენტრატებს და გამაგრილებელ უალკოჰოლო სასმელ „ბახმაროს“ უშვებდა, რომელიც არა მარტო საქართველოში, არამედ ყოფილი საბჭოთა კავშირის 160 ქალაქში გადიოდა.

სამწუხაროდ, გასული საუკუნის 90-იანი წლებში საქართველოში მიმდინარე კატაკლიზმების დროს ბატონი მანუჩარი ამ საწარმოს ნგრევასაც შეესწრო. რამდენიმე თვის ავადმყოფობის შემდეგ 1996 წელს გარდაიცვალა.

ბატონი მანუჩარი იღვწოდა სოფლის პრობლემების გადასაჭრელად, რასაც მისი საქმიანობა მოწმობს სოფ. ბახვში. იგი ნამდვილად მაგალითი იყო იმისა, თუ როგორ იღვაწოს ადამიანმა სამშობლოსათვის, იყოს ქველმოქმედი და მუდამ ზრუნავდეს ახალგაზრდების პრობლემების გადასაჭრელად, რაც მათ დასაქმებაში გამოიხატებოდა. მან საკონსერვო ქარხანაში შექმნა ახალგაზრდული კოლექტივი, სადაც სხვადასხვა სამუშაოებს წარმართავდნენ: *ილია ნადარეიშვილი, თეიმურაზ ქილიფთარი, რენო ურუშაძე, ილია ბილიხოძე, ჯემალ მამულაიშვილი, ანზორ ქინქლაძე, ალიკა გოგავა, ზაურ ბოლქვაძე, თამაზ კოროშინაძე, ილარიონ ჩხაიძე* და სხვები. მათ შორის ბევრი გარდაცვლილია.

2014 წლის გაზაფხულის დასაწყისში გარდაიცვალა მანუჩარის მეუღლე, ქალბატონი ლეილა.

ბატონი მანუჩარი ყველაფერში გამორჩეული იყო და თავიდანვე გან-ზრახული ჰქონდა მის მიერ აშენებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მიმდებარედ სკვერი გაეშენებინა. .უპრიანი იქნება, თუკი აკაკის ქუჩის ამ მონაკვეთში ლამაზი სკვერი გაშენდება, რომელსაც სასურველია დიდი ადამიანის, მანუჩარ მამეიშვილის სახელი ეწოდოს.

უახლოესი მეგობრები.

თბილისში გაზის ნამწვით ოზურგეთელი გოგონა გარდაიცვალა

ოზურგეთელი გოგონა ქ. თბილისში გაზის ნამწვისაგან გაიგუდა და დაიღუპა.

— ეს გოგონა ოზურგეთელი ნინო კობიძეა. სიტყვით ვერ გადმოვცემ ისეთი კარგი გოგო. გაზის გამონაბოლქვით მოიწამლა ძმასთან ერთად. გიორგი გადარჩა, ნინო ანგელოზებთან გაგვიფრინდა — წერს ფეისბუქგვერდზე ოზურგეთის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი ლელა საჯაია.

სამწუხაროდ, კიდევ ერთი ახალგაზრდა, 28 წლის ირინა კალანდაძეპ დაიღუპა ანალოგიური შემთხვევით. დაღუპული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ შუა განახლებიდანაა.

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ს/ს „იმედის“ თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა **მერი მდივანი - კალანდარიშვილისა** და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

სკანვორდი





№ 43-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე — გივი ბერიკაშვილი; კავშირი — და; გამოსაქლიავებელი ხილი — ქლიავი; პირის ღრუს ნაწილი — სასა; გრაფიკი — სია; ტოლი — რუბეროიდი; ცურვის სახეობა — კროლი; ციური სხეული — ვარსკვლავი; ბარსელონას ფეხბურთელი — სუარესი; ლაღიძის ოპერა — ლელა; კომში — ბია; ქალაქი რაჭაში — ონი; უმაღლესი მწვერვალი — ევერესტი; სტენდალის „წითელი და... — შავი; ფულის გამოშვება — ემისია; რუსეთის სამთავრობო რეზიდენცია — კრემლი; შობადობა მეცხვარეობაში — დოლი; მამაკაცის სახელი — სევერიანი; საცხენოსნო სპორტის სახეობა — ისინდი; ზოჯჯერ ძნელად რომ ტყდება — ნავსი; ქართველი მეფე — ერეკლე; ცხოველური ცხილი — ქონი; ამერი და ... — იმერი; ოთხკუთხედი კალათი — ლასტი; მშვილდით გასასროლი — ისარი; მიკროს ანტიპოდი — მაკრო; სიგარეტი — ქემელი; ჯიუტი (გადატანითი მნიშვნელობით) — რქიანი; აუღებელი მოწოდება — ეისი; გამოსაკიდი საწოლი — ჰამაკი; ხვიარა მცენარე — ლიანა; მუსიკალური ინსტრუმენტი — ქნარი; ინტერნეტგვერდი — საიტი; ... გიუნტერი — ანი;

XIX საუკუნის 60-70-იანი წლების რეფორმები

იბეჭდება ექსკლუზიური უფლებით



რუსეთში ბატონყმობის გაუქმების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებასთან ერთად მომწიფდა აზრი, რომ აუცილებელი გახდებოდა მთელი რიგი სხვა რეფორმების გატარება. ცხადი იყო, რომ ბატონყმობის გაუქმებაზე შეჩერება შეუძლებელი იქნებოდა, მნიშვნელოვანი რეფორმები თავისთავად დგებოდა დღის წესრიგში.

XIX საუკუნის 60-70-იანი წლების რეფორმები რუსეთში

1. **საერობო რეფორმა(საგუბერნიო და სამაზრო მმართველობის რეფორმა)**. ადგილობრივი(სამაზრო, საქალაქო, საგუბერნიო) მმართველობის რეფორმის საკითხი რუსეთში ბატონყმობის გაუქმებისათვის მზადების პერიოდშივე დაისვა. 1859 წლის 27 მარტს შინაგან საქმეთა სამინისტროში სენატორ **ნიკოლაი მილიუტინის**(1818-1872) თავმჯდომარეობით შეიქმნა კომისია, რომელსაც სამაზრო მმართველობის შესახებ პროექტი უნდა მოემზადებინა. კომისიას მიეცა მითითება, რომ რეფორმის პროექტის მომზადებისას მხოლოდ სამეურნეო საკითხებს შეხებოდნენ. 1860 წლის აპრილში მილიუტინმა იმპერატორ ალექსანდრ II-ს ადგილობრივი მმართველობის შესახებ **„დროებითი წესების"** პროექტი წარუდგინა. დროებითი წესების მიხედვით, ადგილობრივი მმართველობა უნდა ყოფილიყო არჩევითი და არა წოდებრივი. შინაგან საქმეთა მინისტრმა **სერგეი ლანსკოიმ**(1782-1862) და მისმა თანამოაზრეებმა პროექტი ზედმეტად ლიბერალურად მიიჩნიეს. საბოლოოდ, ყველაფერი იმით დასრულდა, რომ ნიკოლაი მილიუტინი კომისიის თავმჯდომარეობიდან გადააყენეს. ადგილობრივი მმართველობის შესახებ პროექტის შემმუშავებელი კომისიის თავმჯდომარედ შინაგან საქმეთა ახალი მინისტრი **პიოტრ ვალუევი**(1815-1890) დანიშნეს. ვალუევი ცნობილი იყო თავისი კონსერვატორული შეხედულებებით. მიუხედავად ამისა, მან ვერ გაბედა მთლიანად უგულებელეყო ნიკოლაი მილიუტინის მიერ შემუშავებული პროექტის პრინციპი — არჩევითობა და არა წოდებრიობა. ვალუევმა მხოლოდ არჩევნების სისტემა შეცვალა, რომელიც ადგილობრივი მმართველობის ორგანოების არჩევისას თავადაზნაურობასა და ბურჟუაზიას დიდ უპირატესობას აძლევდა.

1863 წლის მარტისათვის უკვე მზად იყო ,,საგუბერნიო და სამაზრო საერობო დაწესებულებების დებულების"პროექტი. ,,დებულება საგუბერნიო და სამაზრო (სათემო) დაწესებულებებისათვის" ალექსანდრ II-მ 1864 წლის 1 იანვარს დამტკიცა. კანონის მიხედვით, საგუბერნიო და სამაზრო **საერობო კრება** სამი წლის ვადით ირჩეოდა. კრების წევრებს **ხმოსნები** ეწოდებოდათ. საგუბერნიო და სამაზრო საერობო კრების წევრთა რაოდენობა სხვადასხვა მაზრაში 10 წევრიდან 96 წევრამდე მერყეობდა, გუბერნიებში–15 წევრიდან 100 წევრამდე. სამაზრო და საგუბერნიო კრება ირჩევდა აღმასრულებელ ორგანოს —**გამგეობას,** რომლის წევრთა რაოდენობა მაზრაშიც და გუბერნიაშიც 4-6 წევრს შეადგენდა.

სამაზრო საერობო კრებას სამ კურიაში ირჩევდნენ: 1. მაზრის მემამულეების ყრილობაზე; 2. ქალაქის მოსახლეობის ყრილობაზე; 3. სასოფლო თემების ყრილობაზე. **პირველ კურიაში** შედიოდნენ ის მემამულეები, რომელთაც არანაკლებ 200 დესეტინა მიწა გაჩნდათ, ან ფლობდნენ სხვა სახის საკუთრებას, რომლის საერთო ღირებულება 15.000 მანეთზე ნაკლები არ იყო, ან ჰქონდათ სხვა შემოსავალი წელიწადში არანაკლებ 6.000 მანეთისა. ეს იმას ნიშნავდა, რომ პირველი კურიიდან მხოლოდ მემამულეებსა და ვაჭარ-მრეწველებს აირჩევდნენ. მეორე კურიაში შედიოდნენ პირველი, მეორე და მესამე გილდიის ვაჭრები. სავაჭრო სახლებისა და სამრეწველო საწარმოების მფლობელები, რომელთა წლიური შემოსავალი 6.000 მანეთზე ნაკლები არ იყო; ქალაქებში უძრავი ქონების (ძირითადად სახლების)მფლობელები, რომელთა ქონება პატარა ქალაქებში 500 მანეთზე ნაკლები, ხოლო დიდ ქალაქებში 2.000 მანეთზე ნაკლები არ იყო. **მეორე კურიაში** არჩევნებში მონაწილეობის უფლება ჰქონდა ქალაქში მცხოვრებ სამოვდელოებასა და მემამულეებს,თუ მათი უძრავი ქონების ღირებულება დადგენილი ნორმის ფარგლებში იყო. პირველ და მეორე კურიაში არჩევნები პირდაპირი იყო,**მესამე კურიაში** კი — მრავალსაფეხურიანი: **პირველ საფეხურზე** სასოფლო ყრილობა წარმომადგენლებს ირჩევდა სათემო ყრილობისათვის, **მეორე საფეხურზე** სათემო ყრილობა ირჩევდა ამრჩევებს სამაზრო ყრილობისათვის, **მესამე საფეხურზე** სათემო ყრილობაზე შეკრებილი ამრჩევები ირჩევდნენ სამაზრო საერობო კრების ხმოსნებს(კრებას).

დებულების მიხედვით, სამაზრო და საგუბერნიო კრების თავმჯდომარეები ავტომატურად ხდებოდნენ მაზრებისა და გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლები. სამაზრო და საგუბერნიო საერობო გამგეობის თავმჯდომარეს ირჩევდა სამაზრო და საგუბერნიო საერობო კრება, მაზრის გამგეობის თავმჯდომარეს ამტკიცებდა გუბერნატორი, გუბერნიისას — შინაგან საქმეთა მინისტრი.

წელიწადში ერთხელ, დეკემბრის თვეში, იმართებოდა **საერობო კრების სესია,** აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლებოდა სესია სხვა დროსაც მოწვეულიყო. გამგეობის წევრები მუშაობდნენ მთელი წლის განმავლობაში, რისთვისაც იღებდნენ წლიურ ხელფასს 600 მანეთის ოდენობით. გამგეობის თავმჯდომარის ხელფასი 500 მანეთს შეადგენდა.

სამაზრო და საგუბერნიო საერობო კრებას და გამგეობას პოლიტიკური საკითხების განხილვის უფლება არ ჰქონდა. ისინი ისეთ საკითხებზე მსჯელობდნენ, რომლებიც ეკონომიკის, სოციალურ ურთიერთობათა და კულტურის სფეროს განეკუთვნებოდა.

1864 წლის 1 იანვარს დამტკიცებული კანონი საგუბერნიო და სამაზრო მმართველობის შესახებ რუსეთის 34 გუბერნიაზე გავრცელდა. კანონი არ შეხებია: ციმბირს, არხანგელსკის, ასტრახანისა და ორენბურგის გუბერნიებს, სადაც ფაქტობრივად, მემამულური მიწათმფლობელობა არ არსებობდა. კანონი ასევე არ შეხებია ლიტვას, პოლონეთს, ბელორუსიას, მარჯვენა ნაპირის უკრაინას, კავკასიას, ყაზახეთსა და შუა აზიას.

2.საქალაქო რეფორმა. სამაზრო და საგუბერნიო მმართველობის რეფორმასთან ერთად მომზადდა საქალაქო მმართველობის რეფორმაც. 1862 წლის 20 ივლისს ალექსანდრ II-მ **„საქალაქო დებულების"** პროექტის მომზადების ბრძანება გასცა. რუსეთის იმპერიის 509 ქალაქში შეიქმნა კომისიები, რომელთაც უნდა შეეგროვებინათ მასალები ქალაქების შესახებ და მოემზადებინათ წინადადებები საქალაქო მმართველობის დასახვეწად. შინაგან საქმეთა სამინისტრომ ქალაქებიდან მიღებული მასალების საფუძველზე 1864 წელს შეადგინა "საქალაქო დებულების" პროექტი. პროექტი გადაეცა საკოდიფიკაციო კომისიას, სადაც მას 1866 წლის მარტამდე იხილავდნენ. საკოდიფიკაციო კომისიამ პროექტი სახელმწიფო საბჭოს გადასცა, აქ იგი კიდევ ორი წელი შეაყოვნეს. 1870 წლის 16 ივნისს იმპერატორმა ალექსანდრ II-მ საქალაქო დებულებას ხელი მოაწერა და მან კანონის ძალა შეიძინა. კანონის მიხედვით, რუსეთის 509 ქალაქში უნდა შემოღოთ **საქალაქო თვითმმართველობა.** თვითმმართველობა გულისხმობდა 4 წლის ვადით **ქალაქის სათათბიროს** არჩევას.ქალაქის სათაათბირო, თავის მხრივ, ირჩევდა **ქალაქის გამგეობას.** ქალაქის გამგეობაში შედიოდა: **ქალაქის თავი, ქალაქის თავის მოადგილე** და **წევრები.** ქალაქის თავი ითვლებოდა როგორც ქალაქის სათათბიროს, ისე გამგეობის თავმჯდომარედ. ქალაქის სათათბიროს არჩევნებში მონაწილეობის უფლება მიენიჭათ 25 წელს მიღწეულ ქონებრივი ცენზის მქონე და გადასახადების გადამხდელ მამა-კაცებს (სავაჭრო-სამრეწველოდაწესებულებების, ბანკებისა და სხვა უძრავი ქონების მფლობელებს). არჩევნებში მონაწილეები, მათი უძრავი ქონების ღირებულებისა და გადასახადების რაოდენობის მიხედვით,სამ კლასად(კურიად) დაყვეს. **პირველ კურიაში** შედიოდნენ მსხვილი გადამხდელები, რომლებიც მთელი საქალაქო გადასახადების მესამედს იხდიდნენ; **მეორე კურიას** მიეკუთვნებოდნენ საშუალო გადამხდელები, რომლებიც მთელი საქალაქო გადასახადების ასევე მესამედს იხდიდნენ; **მესამე კურია** წვრილ გადამხდელებს მოიცავდა, რომლებიც საქალაქო გადასახადის დარჩენილ მესამედს იხდიდნენ. არჩევნებში მონაწილეობის უფლება, კერძო პირებთან ერთად,მიიღო სხვადასხვა დაწესებულებამ და საზოგადოებამ, ქალაქის ეკლესიებმა და მონასტრებმა,თუ ისინი ქალაქის ბიუჯეტის სასარგებლოდ გადასახადს იხდიდნენ. ქალაქში მცხოვრები მუშები, წვრილი მოხელეები, ინტელიგენციის წარმომადგენლები, რომლებიც ქალაქში უძრავ საკუთრებას არ ფლობდნენ და გადასახადებისგანაც გათავისუფლებული იყვნენ, არჩევნებში არ მონაწილეობდნენ. სწორედ ამის გამო იყო,რომ ქალაქებში, რომელთა მოსახლეობა 5.000 სულზე ნაკლები იყო,საარჩევნო ხმით საშუალოდ მხოლოდ 10,4% სარგებლობდა; ქალაქებში, რომლებიც 20..000 სულიდან 50.000 სულამდე მცხოვრებს ითვლიდა, ხმის უფლებით საშუალოდ მხოლოდ 4% სარგებლობდა. მოსკოვში საარჩევნო ხმის უფლება მოსახლეობის 3,4%-მა მოიპოვა, პეტერბურგში–1,9%-მა.

1870 წლის 16 ივნისის "საქალაქო დებულება" თავდაპირველად რუსეთის იმპერიის 509 ქალაქზე გავრცელდა,1874 წელს დებულება კავკასიის, 1875 წელს ლიტვის, ბელორუსიის, მარჯვენა ნაპირის უკრაინის,ხოლო 1877 წელს ბალტიისპირეთის ქალაქებში ამოქმედდა. დებულება არ გავრცელებულა პოლონეთისა, ფინეთისა და შუა აზიაზე. საბოლოო ჯამში, საქალაქო დებულება რუსეთის იმპერიის 707 ქალაქს შეეხო, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო რეალურად თვითმმართველობა მხოლოდ 621 ქალაქში შეიქმნა.

საქალაქო თვითმმართველობები შეიქმნა საქართველოშიც.

3. სასამართლო რეფორმა. 1861 წლის ბოლოს იმპერატორმა ალექსანდრ II-მ სახელმწიფო კანცელარიას სასამართლო სისტემის გარდაქმნის ძირითადი დებულებების შემუშავება დაავალა. რეფორმის მომზადებაში ჩაებნენ რუსეთის ცნობილი იურისტები, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა სერგეი ზარუდნი. მისი ხელმძღვანელობით კომისიამ შეიმუშავა რუსეთში სასამართლო სისტემის რეფორმის პროექტი. 1862 წელს პროექტი მოიწონა რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭომ და თვით იმპერატორმა. კანონპროექტი გამოქვეყნდა და აზრის გამოსათქმელად დაეგზავნათ სასამართლო დაწესებულებებს, უნივერსიტეტებს და უცხოეთის ცნობილ იურისტებს. განხილვის შემდეგ პროექტი საფუძვლად დაედო სხვადასხვა კოდექსს. სასამართლო რეფორმის საბოლოო პროექტის შესამუშავებლად შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელიც სამი განყოფილებისაგან შედგებოდა: **სასამართლო წყობილების, სისხლის სამართლის წარმოებისა და სამოქალაქო საქმეების** წარმოებისაგან. 1864 წლის აგვისტოში პროექტი სახელმწიფო საბჭოში გაიგზავნა,სადაც იგი მოიწონეს. 1864 წლის 20 ნოემბერს ალექსანდრ II-მ კანონპროექტი დაამტკიცა, რის შემდეგაც მან კანონის ძალა შეიძინა.

სასამართლო სისტემის რეფორმა შემდეგ პრინციპებს დაემყარა:

1. სასამართლო გახდა არაწოდებრივი;

2. ყველა წოდება კანონისა და სასამართლოს წინაშე თანასწორი იყო;

3.სასამართლო აღარ იყო ადმინისტრაციაზე დამოკიდებული;

4. სასამართლო პროცესის დასრულებამდე სასამართლო გამომძიებლებისა და მოსამართლეების შეცვლა დაუშვებელი იყო;

5.სასამართლო საჯარო გახდა;

6. პროცესზე დაშვებული იქნა შეჯიბრებითობის პრინციპი, რომელშიც მონაწილეობდა განსასჯელის ადვოკატი.

კანონის ძალით, შემოღებული იქნა ახალი სასამართლო დაწესებულებები: **სახელმწიფო სასამართლო** და **მომრიგებელი სასამართლო.** სახელმწიფო სასამართლოს ჰქონდა ორი ინსტანცია: 1.საოლქო(საგუბერნიო) სასამართლო; 2.სასამართლო პალატა, რომელიც რამდენიმე სასამართლო ოლქს (გუბერნიას) მოიცავდა. სასამართლო პალატა სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საქმეთა დეპარტამენტებისაგან შედგებოდა.

ჟანდარმერიას და პოლიციას საქმის ძიების უფლება ჩამოერთვა. საქმეს იძიებდა **სასამართლოს გამომძიებელი.** გამოძიების დასრულების შემდეგ საქმე გადაეცემოდა სასამართლოს. სასამართლო პროცესი მიჰყავდა **მოსამართლეს,** ბრალდებას იცავდა **პროკურორი**. განსასჯელს ადვოკატის (დამცველის) აყვანის უფლება მიეცა. დამნაშავე იყო თუ უდანაშაულო განსასჯელი,ან წაყენებული ბრალდებიდან რაში იყო და რაში არ იყო დამნაშავე, ამას წყვეტდა არა მოსამართლე, არამედ — ნაფიცი მსაჯულების კოლეგია. ნაფიცი მსაჯულები არ ინიშნებოდნენ, მათ მოსახლეობა ირჩევდა, დაუშვებელი იყო სასამართლოს დამთავრებამდე ნაფიცი მსაჯულის გადაყენება. ნაფიცი მსაჯულების გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ მოსამართლე უკვე კოდექსის საფუძველზე განსაზღვრავდა სასჯელის ზომას. ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით საოლქო სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი საბოლოოდ ითვლებოდა. თუ განაჩენი ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობის გარეშე იყო გამოტანილი, იგი შეიძლებოდა სასამართლო პალატაში გასაჩივრებულიყო. საოლქო სასამართლოსა და სასამართლო პალატის მიერ ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით გამოტანილი განაჩენი **სენატში(უზენაეს სასამართლოში)** შეიძლებოდა მხოლოდ მაშინ გასაჩივრ-ებულიყო, თუ სასამართლოს მიერ საქმის წარმოების წესის დარღვევა დადგინდებოდა, ან გამოვლინდებოდა ახალი გარემოებები. სენატს უფლება ჰქონდა, საოლქო სასამართლოს ან სასამართლო პალატის მიერ გამოტანილი განაჩენი ან შეეცვალა, ან საერთოდ გაეუქმებინა. ამ მიზნით სენატში მოქმედებდა სისხლის სამართლის საკასაციო და სამოქალაქო სამართლის საკასაციო დეპარტამენტები. დეპარტამენტებში საქმე არსებითად არ იხილებოდა. საქმე განსახილველად ეგზავნებოდა სხვა საოლქო სასამართლოს ან სასამართლო პალატას, ან იმავე საოლქო სასამართლოსა და სასამართლო პალატას, ოღონდ ამჯერად სასამართლო განხილვაში მონაწილეობას ვერ მიიღებდნენ ოგივე მოსამართლე და ოგივე ნაფიცი მსაჯულები.

სამოქალაქო საქმეები, რომელთა ღირებულება 500 მანეთს უდრიდა, ასევე სხვა წვრილმანი დანაშაული, იხილებოდა მაზრებსა და ქალაქებში არსებულ **მომრიგებელ სასამართლოებში**. მომრიგებელ სასამართლოში იყო ერთი მოსამართლე, კანონი არ ითვალისწინებდა ნაფიც მსაჯულთა და ადვოკატის მონაწილეობას სასამართლო პროცესში, ხოლო თვით სასამართლო პროცესი ძალზე გამარტივებული იყო. მომრიგებელ მოსამართლეებს 3 წლის ვადით ირჩევდა მაზრის საერობო კრება,ხოლო მოსკოვში, პეტერბურგსა და ოდესაში — ქალაქის სათათბირო. იმ გუბერნიებში, სადაც სამაზრო ერობები არ იყო, მომრიგებელ მოსამართლეს გუბერნიის ადმინისტრაცია ნიშნავდა. მომრიგებელი მოსამართლე 25 წლის, აუცილებლად ადგილობრივი მცხოვრები, საშუალო ან უმაღლესი განათლებით უნდა ყოფილიყო, უნდა ჰქონოდა სასამართლოში მუშაობის სამწლიანი გამოცდილება და არ უნდა ყოფილიყო ნასამართლევი.

მომრიგებელი სასამართლო მოქმედებდა **სამომრიგებლო უბანზე** და ითვლებოდა პირველ ინსტანციად. მეორე ინსტანციას წარმოადგენდა **მაზრის მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობა,** რომელშიც მონაწილეობდა მაზრის ყველა მომრიგებელი მოსამართლე და კიდევ რამდენიმე საპატიო მოსამართლე. ყრილობა თავისი რიგებიდან ირჩევდა მომრიგებელ მოსამართლეთა სამაზრო ყრილობის **თავმჯდომარეს.** მაზრა წარმოადგენდა **მომრიგებელ მოსამართლეთა ოკრუგს.** ოკრუგი იყოფოდა უბნებად. მომრიგებელ მოსამართლეს შეეძლო დანაშავე 300 მანეთამდე დაეჯარიმებინა,უფრო დიდი დანაშაულისათვის 6 თვის ან 1 წლით პატიმრობა მიესაჯა. უბნის მომრიგებელი მოსამართლის განაჩენი შეიძლებოდა გასაჩივრებულიყო მაზრის მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობაზე.

1864 წელს რუსეთში პირველად შემოიღეს **ნოტარიატი.** მოსკოვში, პეტერბურგში, გუბერნიისა და მაზრის ცენტრებში დაარსდა **სანოტარო კანტორები** ნოტარიუსის შტატით.

ვასტანგ გურული

(საქართველოს ახალი ისტორია, ტ. 2. გვ. 136-138)

(გაგრძელება იქნება)

ოზურგეთის თეატრი განჯის გასტროლიდან დაბრუნდა

ოზურგეთის სახელმწიფო თეატრი მორიგი გასტროლით აზერბაიჯანის ქალაქ განჯაში იმყოფებოდა, სადაც სპექტაკლი „პეპი გრძელიწინდა“ წარმოადგინა.

ვასილ ჩიგოგიძე, თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, მარჯანიშვილის პრემიის ლაურეატი:

„- ჩვენი გასტროლი განჯაში *მრავალმხრივ იყო საინტერესო. პირველ რიგში, გავიცანით ეს ისტორიული, ულამაზესი ქალაქი ნახევარი მილიონი მოსახლეობით, რომელსაც მრავალი ღირსშესანიშნაობა აქვს. მადლობელი ვარ აზერბაიჯანის თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის აზერ ფაშას, რომელმაც შემოგვთავაზა ბაქოს თეატრთან მემორანდუმის გაფორმება, საბოლოოდ კი განჯასთან, ასე ვთქვათ, ოზურგეთივით პატარა ქალაქთან, მემორანდუმის გაფორმებაზე ჩამოვყალიბდით. ამ ქალაქში მდებარეობს თურქეთისა და საქართველოს გენერალური საკონსულოები, რომელთა თანამშრომლები და კონსულები, ასევე ქალაქის ხელმძღვანელობა, ვიცე მერი ესწრებოდნენ ჩვენს სპექტაკლებს და საუკეთესო დახვედრა და შეხვედრები მოგვიწყვეს. მადლობა განჯას სიყვარულისათვის, მასპინძლობი-სათვის. იმედია, ჩვენც მოვიწვევთ ჩვენს განახლებულ თეატრში, ნოდარ დუმბაძის ფესტივალზე.*

განჯის თეატრთან ჩვენი მეგობრობა დაიწყო ნოდარ დუმბაძის სახელობის საერთაშორისო ფესტივალიდან, სადაც მათ შესანიშნავი სპექტაკლი ჩამოიტანეს.

მადლობა ჩვენს მეგობარს, მსახიობსა და იმპრესარიოს იუსუფ ჯაფაროვს, რომელიც გვეხმარება ჩვენი საფესტივალო არეალის გაფართოებაში, როგორც ჩვენი სტუმრობის, ასევე სტუმრების მოწვევის თვალსაზრისით.

სპექტაკლს „პეპი გრძელიწინდა“, ჰქონდა ანოტაცია აზერბაიჯანულად, თანაც პეპი მსოფლიოს ბავ-შვთა საყვარელი გოგონაა, ხოლო სპექტაკლებს „ფიროსმანი“ და „წერილი ლიას“ აზერბაიჯანულად ოყო ნათაგმნი და სპექტაკლების წარმატებში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა.“

ელენე მაცხონაშვილი, რეჟისორი: *ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის გასტროლი აზერბაიჯანში, ქალაქ განჯაში წარმატებული და შემოქმედებითად მსუყე აღმოჩნდა. ღლის საათებში პატარა, აზერბაიჯანელი მაყურებლისთვის თეატრის მსახიობ-ებმა „პეპი გრძელიწინდა” ითამაშეს და გულწრფელი ოვაციებიც დაიმსახურეს. საღამოს კი სპექტაკლები „ფიროსმანი” და „წერილი ლიას” იხილა უფროსი თაობის მაყურებელმა, სპექტაკლს ესწრებოდნენ აზერბაიჯანელი კოლეგები დამთავრობის წარმომადგენლები. ორივეს პექტაკლი აზერბაიჯანულ ენაზე ვითამაშეთ რამაც ერთგვარად გაამარტივა სათქმელის მიწოდება და კიდევ უფრო დააგვაბლოვა მაყურებელთან. მადლობა მინდა გადავუხადო ოზურგეთისა და განჯის თეატრების ხელმძღვანელებს, კარგად ორგანიზებული და ერთობ მნიშვნელოვანი გასტროლისთვის. ვფიქრობ, ეს ქართული კულტურის პოპულარიზაციის და ამასთანავე ორ თეატრს (ქვეყანას) შორის დიდი, საინტერესო, შემოქმედებითი მეგობრობის საწინდარია.“*

თეატრში ამჯერად საახალწლო შოუს, სპექტაკლს „შობის ჯადოსნური ღამე“ ამზადებენ და ამ ფერადოვან სანახაობაზე იწვევენ გურიის პატარებს.

ლია კილაძე

ოზურგეთში 4-ვარსკვლავიანი სასტუმრო „ოზურგეთი პლაზა” გაიხსნა

12 დეკემბერს, ქ. ოზურგეთში, გურამიშვილის ქუჩაზე 4-ვარსკვლავიანი სასტუმრო „ოზურგეთი პლაზა“ გაიხსნა.

სასტუმროში სტუმრებისთვის 16 ნომერია. 3 ლუქსის ტიპის აპარტამენტი, ორ და სამ სტუმარზე გათვლილი ოთახები. ოთახები ბავშვიანი სტუმრებისთვის და შშმ პირებისთვის ადაპტირებული სერვისი. შენობა აღჭურვილია თანამედროვე სტანდარტების ტექნიკური საშუალებებით. ყველა სტუმარს ელის დასვენების და მუშაობის კომფორტული გარემო.

„ოზურგეთი პლაზას“ რესტორანი სტუმრებს ევროპული და ქართული სამზარეულოს კერძებით გაუმასპინძლდება. მაღალი კლასის შეფ მზარეული და კვალიფიციური კულინარები სტუმრებს უგემრიელეს კერძებს და დესერტს შესთავაზებენ. სასტუმროს აქვს ტერასა და ლამაზი, გამწვანებული ეზო.

სასტუმროში არის ტექნიკურად აღჭურვილი საკონფერენციო დარბაზი და სრული კომფორტი საქმიანი შეხვედრების, სემინარების, ტრენინგების და კონფერენციების მოსაწყობად.

სასტუმროს დამფუძნებელი ბიზნესმენი ლელა თოიძეა.

ნატანების „საღვთო“ ნახევარფინალშია

ალიონი. სოფელ ნატანების ბავშვთა საფეხბურთო გუნდ „საღვთოს“ სამი ასაკობრივი გუნდი ოზურგეთის სასპორტო სკოლის 12 გუნდს შორის გამართულ ჩემპიონატზე 4 საუკეთესო გუნდს შორის გავიდა.

სოფელ დვაბზუში გამართული მატჩები ადგილობრივ გუნდთან საინტერესოდ წარიმართა. ორთავე სოფლის ასაკობრივმა გუნდმა კარგი თამაში აჩვენეს.

პირველ მატჩში 2007-2008 წლებში დაბადებულებს შორის ნატანებელთა უპირატესობა აშკარა იყო და მათ დვაბზუელი თანატოლები 5:1 დაამარცხეს. ნატანებელმა გუჯა ნათიძემ 3 , ხოლო ალეკო ცერცვაძემ 2 გოლი გაიტანა.

ასევე დაძაბული გამოდგა 2009-2010 წელში დაბადებულთა შეხვედრაც. აქ მასპინძლებმა შეძლეს სტუმრების დამარცხება 2:3. ნატანებელთაგან გოლები გიორგი ბოლქვაძემ გაიტანა.

ვინ გამოდიოდა „საღვთოსგან“ ამ მატჩებში: **შოთო და ოთო თარხნიშვილები, დიმიტრი პერხალოვი, ალეკო, გიორგი, ლუკა ცერცვაძეები, უჩა, გიორგი ხომერიკები, ლუკა მახარაძე, თამაზ ოდიკაძე, ლუკა ხურციძე, თორნიკე ბაქანიძე, ნიკა ფილფანი, გიგა, გუჯა ნათიძეები, დათო ტაკიძე, გიორგი ბოლქვაძე, გიორგი პატარაია, საბა უჯმაჯურიძე, ზურა კუჭაშვილი, ლუკა და ლუკა მიმინოშვილები.**

უფროს ასაკში (2005-2006 წ.წ.) გიგა ნათიძეს 27 გოლი აქვს გატანილი; 2007-2008 წლებში დაბადებულთა შორის გუჯა ნათიძეს 20, ხოლო ალეკო ცერცვაძეს 14 გოლი; უმცეოს ასაკში გიორგი ბოლქვაძეს 11, ხოლო ლუკა ცერცვაძეს 10 გოლი.

როგორც „საღვთოს“ მწვრთნელმა **გია ტულუშმა** თქვა, ყველა საკის გუნდი ნახევარფინალშია და საფინალო შეხვედრები საახალწლოდ ოზურგეთის სპორტის სასახლეში გაიმართება. ისინი ინტერსიულ წვრთნებს გადიან და იმედი აქვთ ფინალურ ტურნირში შესაბამის წარმატებას მიაღწევენ.

იმედია მალე იტყვიან ქალთა ფეხბურთში თავიანთ სიტყვას

რამდენიმე წელია, რაც დვაბზუელმა მოსწავლემ ელენე გოგოტიშვილმა საფეხბურთო გუნდი შექმნა.ამაში მას წარსულში ფეხბურთელი, სამმობლოს წინაშე ვალმოხდილი, გადამდგარი ვიცე-პოლკოვნიკი მიშიკო ღლონტი და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი მარი ჩხიკვიშვილი (იგი გუნდის პრეზიდენტია) დაეხმარნენ დვაბზუელთა გუნდმა შარშან მუნიციპალიტეტის სკოლებს შორის გამართულ „კოკა კოლას“ თასის გათამაშებაში გაიმარჯვეს. წელს კი რამდენიმე მატჩი მოიგესახლახან მათ ლანჩხუთელ თანატოლებს სძლიეს.დვაბზუელები გუნდის გაძლიერებას სხვა სოფლებიდან გოგონების მოწვევით გეგმავენ. გასულ კვირაში გოგონათა ვარჯიშს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხელმძღვანელობა დაესწრო. ვარჯიშს შრომის საჯარო სკოლის მოსწავლე ავთუკა ხომერიკი ესწრებოდა, რომელმაც ვარჯიშის დასრულებისთანავე ინტერვიუები ჩაწერა თანატოლებთან.

7 დღის ამინდის პროგნოზი

მცირე წვიმა +4+11
16 დეკემბერი
ორშაბათი

მზე, ღრუბელი +3+11
17 დეკემბერი
სამშაბათი

მზე, ღრუბელი +4+13
18 დეკემბერი
ოთხშაბათი

მზე, +5+16
19 დეკემბერი
ხუთშაბათი

მზე, +2+14
20 დეკემბერი
პარასკევი

მზე, ღრუბელი +2+12
21 დეკემბერი
შაბათი

მზე, ღრუბელი +2+10
22 დეკემბერი
კვირა